პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი
№ 122 (12330)

შაბათი, 26 მაისი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

## გუშინ პლანტაციებში

**ზუგდიდი** სოფელ რუხის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობაში უველას გაუსწრო ეთერ გაფლელიამ, რომელმაც ერთ დღეს მოკრიფა 110 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამავე კოლმეურნეობის წევრმა ცინო ჭოჭუამ მოკრიფა 100 კილოგრამი, ი. ნანავამ, ვალიდა თოდუამ მოკრიფეს 70-70 კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

**წალენჯიხა** სოფელ მიქავას კოლმეურნეობის მეჩაიემ სულიკო ჯოლოხავამ მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება 250 პროცენტით შეასრულა, თალიკო მიქავამ მოკრიფა 50 კილოგრამი, ლუდა ღვინჯილიამ — 55 კილოგრამი. სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში თინა ჭანტურიამ მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაის ნედლეული, გულნარა შონიამ — 70 კილოგრამი, ქ. ცომინტიამ — 65 კილოგრამი.

**ხობი** ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ სულიკო ხარაძიშვილმა ერთ დღეს მოკრიფა 180 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, დღიური დავალება ხუთმაგად გაანაღდა, მ. ჯიშკარიანმა მოკრიფა 110 კილოგრამი; სოფელ ხაჯიკოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ქსენია კეკლიშვილმა მოკრიფა 140 კილოგრამი, ლ. ნანეიშვილმა — 90 კილოგრამი.

# საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მგზავრობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

### რადიოთი და ტელევიზიით 1962 წლის 25 მაისს

**ძვირფასო** ამხანაგებო!

რამდენიმე დღის წინათ მოძმე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მგზავრობიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. მინდა გაგიზიაროთ ამ მგზავრობის შთაბეჭდილებანი.

ჩვენ ბულგარეთში ვიყავით საპასუხო ვიზიტით რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიწვევით. როგორც ცნობილია, 1957 წელს ჩვენს ქვეყანაში იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია და მაშინ ბულგარელმა მეგობრებმა მიიწვიეს საბჭოთა დელეგაცია თავიანთ ქვეყანაში.

ჩვენი მგზავრობა ბულგარეთში ყოველმხრივ საინტერესო და სასარგებლო იყო. შთაბეჭდილებანი ბევრი გვაქვს. ეს მკაფიო, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებია, ძნელია გამონახო სიტყვები იმ განსაკუთრებული გულითადობის, გულთბილობისა და სიყვარულის გადმოსაცემად, რომლებითაც ბულგარეთის მშრომელები და მისი ხელმძღვანელები ხვდებოდნენ ჩვენს დელეგაციას ბულგარეთის მშვენიერ მიწა-წყალზე ყოფნის დღეებში.

ყველგან, სადაც ვხვდებოდით ბულგარელ მშრომელებს, ისინი გვთხოვდნენ ძმური სალამი გადაგვეცა საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის და უსურვებდნენ მათ დიდ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში. იგივე გვთხოვეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ჟივკოვმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა იუგოვმა, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა განევმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრებმა. მინდა უწინარეს ყოვლისა შევასრულო ეს თხოვნა და გადმოგცეთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ბულგარელი მეგობრების გულითადი სალამი და კეთილი სურვილები.

ჩვენი დელეგაციის მგზავრობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ბულგარელი ხალხი, მისი კომუნისტური პარტია, ბულგარეთის ხელმძღვანელები — ერთგული და გულწრფელი მეგობრები, —როგორც ამხანაგმა ტოდორ ჟივკოვმა თქვა, მზად არიან მუდამ იარონ საბჭოთა კავშირთან ერთად კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

ჩვენი ქვეყნების კომუნისტურ პარტიებსა და მთავრობებს შორის არ არის არა თუ რაიმე სადავო საკითხი, არამედ არ არის ისეთი საკითხებიც კი, რომლებიც სხვადასხვა გაგებას იწვევდნენ.

ადვილი იყო ჩვენთვის ვყოფილიყავით ბულგარეთში ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიის წარმომადგენლები. თუ კი იყო რაიმე „სიმძიმე“, ეს იყო ის, რომ ულმობლად აცხუნებდა მზე. მოსკოვის გრილი ამინდისა და თვითმფრინავით სწრაფი გადაფრენის შემდეგ ადვილი როდი იყო სხვა კლიმატური პირობების ატანა. მაგრამ ამასაც აადვილებდა ის განსაკუთრებით გულითადი სტუმართმოყვარეობა, რომლითაც ყველგან გვხვდებოდა ბულგარელი ხალხი.

ბულგარეთში ყოფნის დროს ჩვენ არაერთხელ გადავიხადეთ დიდი მადლობა ამისათვის. ნება მიბოძეთ ჩვენი დელეგაციის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ხალხის სახელით ერთხელ კიდევ უაღრესად გულწრფელი, გულითადი მადლობა ვუძღვნა ბულგარეთის სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, მთელ ბულგარელ ხალხს იმ დაუვიწყარი გულთბილობისათვის, რომელიც გამოიჩინეს ჩვენდამი, საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებისადმი.

ზოგი ვინმე დასავლეთში ავრცელებდა ყოველგვარ ჭორებს ბულგარეთში ჩვენი ვიზიტის გამო, როგორც, მაგალითად, ისეთს, თითქოს ხრუშჩოვი ბულგარეთში გაემგზავრა რაღაც გაუგებრობათა მოსაგვარებლად, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობაში „ბზარების ამოსავსებად“. მაგრამ როგორც ეს ხშირად მოსდით ბურუუაზიულ მჯღაბნელებს, მათ ამჯერადაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. იმპერიალისტები ეძებენ უთანხმოებას იქ, სადაც იგი არ არის და არც შეიძლება იყოს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა და ბულგარეთის ხალხის ურღვევ მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს გადგმული შორეულ წარსულში. იგი განმტკიცებულია ერთად დაღვრილი სისხლით საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბულგარეთში ყოფნის დროს ჩვენ ვნახეთ პლევენი და გმირული ბრძოლების სხვა ადგილები, სადაც ყოველი მტკაველი მიწა სუნთქავს ჩვენი ხალხების შვილების დიდებით, რომლებიც ოტომანთა თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ჩვენთვის სასიამოვნო იყო იმის ნახვა, თუ რა მზრუნველობით, რა დიდი სიყვარულით ეკიდებიან მშრომელები ძეგლებს, რომლებიც აგებულია ბულგარეთის ბევრ კუთხეში თურქ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში დაღუპული რუსი მეომრების პატივსაცემად, საბჭოთა მეომრებისა და ბულგარელი პატრიოტების, პარტიზანების პატივსაცემად, რომლებიც დაიღუპნენ გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში მეორე მსოფლიო ომის დროს.

მაგრამ მარტო ისტორია როდი აერთიანებს და ანათესავებს ჩვენს ხალხებს. ახლა, როცა ბულგარეთი სოციალიზმის გზას ადგას, ჩვენს მეგობრობას ახალი ელფერი მიეცა, იგი ახალი დიდი შინაარსით აივსო. ყველაზე ნათელი იდეალები, რისთვისაც იბრძოდნენ საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის საუკეთესო შვილები, ახლა ხორციელდება ჩვენი საერთო საქმეებით.

ჩვენთვის სასიამოვნო იყო ყოფნა ქალაქებსა და სოფლებში, ქარხნებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. ჩვენ მეგობრული საუბრები გვქონდა მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან, ვნახეთ მათი თავდადებული შრომის შედეგები. ჩვენზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რაც ვნახეთ, ამ გულითადმა საუბრებმა.

ცნობილია, რომ წარსულში ბულგარეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო. მონარქიზმ-ფაშიზმის ბატონობის დამხობის შემდეგ, სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარეთში აშენდა ასობით სამრეწველო საწარმო. გლეხთა მეურნეობის კოოპერირების მეოხებით სახე იცვალა ბულგარეთის სოფელმა. მიღწეულია დიდი პროგრესი მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ჩვენ ვეწვიეთ „მარიცა — აღმოსავლეთის“ ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოებს, გემთსამშენებლო ქარხანას, აზოტოვანი სასუქების კომბინატს, ვნახეთ აგრეთვე ბულგარეთის სხვა საწარმოები. ყოველივე ეს შექმნილია მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების შრომით, ნიჭიერი ბულგარელი ხალხის მეცადინეობით. ჩვენ გავიცანით ბულგარეთის მუშათა კლასის — სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ბულგარელი ხალხის წამყვანი ძალის შესანიშნავი წარმომადგენლები.

ჩვენს ბულგარელ ამხანაგებს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საგულისხმო გამოცდილება აქვთ. ბულგარეთში, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში, გლეხი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთ მტკაველ მიწაზე შრომობდა. გლეხობა მეფის ბულგარეთის ყველაზე ღარიბი და უუფლებო კლასი იყო.

სახალხო ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ბულგარელ გლეხობას შეეცვალა თავისი ცხოვრების მთელი წყობა. ბულგარეთის მუშათა კლასმა და მისმა მებრძოლმა ავანგარდმა — კომუნისტურმა პარტიამ ბულგარელ გლეხს დაუსახეს ახალი, კოლექტიური შრომისა და შეძლებული ცხოვრების გზა. საგულისხმოა, რომ გლეხთა კოოპერირება განხორციელდა გეგმაზომიერად, ორგანიზებულად. მას თან ახლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა.

ჩვენ ვნახეთ კარგი, მტკიცე კოოპერატივები, რომლებსაც აქვთ ახალი მკვიდრი საზოგადოებრივი ნაგებობანი და საცხოვრებელი სახლები. და რაც მთავარია, ჩვენ ვნახეთ ბულგარელი გლეხის, თავისი მიწაწყლის ბატონ-პატრონის, სოციალისტური ბულგარეთის აქტიური მშენებლის ახალი სახე.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ამოცანის წარმატებით გადაჭრა დაკავშირებულია იმ მჭიდრო თანამშრომლობასთან, რომელიც უკვე მრავალი წელია არსებობს ბულგარეთის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირს შორის.

ბულგარეთის გამოცდილება, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება, აბათილებს სოციალიზმის მტრების მონაჭორს, თითქოს კომუნისტებს სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ არ სურდეთ ითანამშრომლონ მშრომელთა სხვა პარტიებთან. კომუნისტებისა და სამიწათმოქმედო კავშირის წევრების ერთსულოვანმა ერთობლივმა მუშაობამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალხო ხელისუფლების განმტკიცებასა და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობაში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბულგარეთისათვის. ეს ბულგარელი ხალხის ძვირფასი წვლილია ჩვენს კოლექტიურ გამოცდილებაში. კოლექტიური გამოცდილება ის დაუშრეტელი წყაროა, რომელიც გვამდიდრებს ჩვენ ყველას და ახალ-ახალ ძალებს გვმატებს სოციალიზმის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს. ჩვენ ერთი გზით მივდივართ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. რა თქმა უნდა, ბულგარეთს თავისი ეროვნული და ისტორიული თავისებურებანი აქვს. ბულგარელი მეგობრები იყენებენ საბჭოთა კავშირისა და სხვა მძმე ქვეყნების გამოცდილებას და უნარიანად იყენებენ მარქსიზმ-ლენინიზმს თავიანთი ქვეყნის პირობების გათვალისწინებით.

ბულგარელი ხალხის ისტორიულ გამარჯვებებში დიდი დამსახურება აქვს ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას. ჩვენ ვნახეთ, თუ რა უდიდესი ავტორიტეტით, რა ღრმა პატივისცემით სარგებლობს იგი ამ ქვეყანაში. ბულგარელ მშრომელებს უყვართ თავიანთი მშობლიური პარტია უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ იგი მჭიდროდ დაკავშირებული ხალხთან და ერთგულად ემსახურება მას. ბულგარელ კომუნისტთა ძალა ის არის, რომ ისინი მტკიცედ დგანან მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებზე. ბულგარელი კომუნისტები, რომლებიც ასრულებენ ბულგარელი ხალხის დიდი შვილის გიორგი დიმიტროვის ანდერძს, წარმატებით წყვეტენ სოციალისტური მშენებლობის რთულ საკითხებს, განუხრელად მიდიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრობისა და ერთიანობის განმტკიცების გზით.

ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც შეინარჩუნა ყოველივე საუკეთესო, რაც მისი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ ბრძოლას ჰქონდა, შეაკავშირა და დაარაზმა ხალხის მთელი ძალები სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად.

ჩვენ ბულგარელ ამხანაგებთან ერთად განვიხილეთ სოციალიზმისა და კომუნიზმის პრაქტიკული მშენებლობის ბევრი საკითხი. ეს საკითხები კი როგორც ჩვენთვის, ისე ბულგარეთის მშრომელებისათვის, არსებითად რომ ვთქვათ, ერთი და იგივეა: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარების საკითხები. აიღეთ, მაგალითად, სოფლის მეურნეობა. როგორც ჩვენში, ისე ბულგარეთში ეს არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საკითხები. ეს არის მარცვლის, ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, მატყლის წარმოების გაფართოების საკითხები, შრომის ორგანიზაციის უფრო პროგრესული მეთოდების დანერგვის, მანქანების უკეთ გამოყენების საკითხები და სხვა.

ჩვენც და ბულგარელი ამხანაგებიც ვესწრაფვით იმას, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნების მთელი სიმდიდრე, მოვახმაროთ იგი ხალხებს. ალბათ ასეთივე საკითხები დგას სხვა სოციალისტური ქვეყნების წინაშეც. რასაკვირველია, თვითეული ქვეყანისათვის მათი პრაქტიკული გადაჭრა დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებსა და დროზე. მაგრამ არის ერთი აუცილებელი ყველასათვის საერთო პირობა — შრომა, თავდადებული, დაძაბული შრომა, რომლის წყალობით იქმნება მთელი მატერიალური და სულიერი ფასეულობანი.

იმისათვის, რომ გვქონდეს კარგი ქალაქები და სოფლები, კეთილმოწყობილი ბინები, რომ ვითარდებოდეს სულიერი ცხოვრება, რომ ადამიანები კარგად და გემრიელად იკვებებოდნენ, რომ მათ ჰქონდეთ შეაძლებლობა კარგად ჩაიცვან, რომ ბავშვები სწავლობდნენ სკოლებში, ინსტიტუტებში, საჭიროა განუწყვეტლივ ვზრდიდეთ მატერიალური დოვლათის წარმოებას. ყოველივე ამას კი უზრუნველყოფს მუშათა კლასის, გლეხობის შრომა, ხალხის შრომა. და რაც უფრო დიდია შრომის ნაყოფიერება, რაც უფრო მეტს შეექმნით მექანიზმებს, რომლებიც შეცვლიან ფიზიკურ შრომას, მით უფრო მეტ მატერიალურ და სულიერ დოვლათს შეექმნით ხალხისათვის. ეს მთავარი ამოცანაა, ამხანაგებო.

შრომა აკეთილშობილებს და სახელს უხვეჭს ადამიანს. აი რატომ ვამბობთ ყოველთვის: შრომა, შრომა და შრომა.

ჩვენ ერთმანეთს აზრები გავუზიარეთ ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის საკითხებზე. დიდი კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ ჩვენს პარტიებს შორის მუდამ იყო ძმური თანამშრომლობის ურთიერთობა. ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1957 წლის თათბირის დეკლარაცია და მომძმე პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის თათბირის განცხადება. ჩვენი პარტიები იდგნენ და დგანან თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის, მჭიდრო თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების პოზიციებზე. ჩვენს პარტიებს თავიანთ წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ იბრძოლონ დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის, რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ, იბრძოლონ მთელი კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის. ყველა ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ორივე ჩვენს პარტიას მიაჩნია, რომ მომძმე პარტიების ურთიერთობაში პირველ პლანზე უნდა დავაყენოთ ის საკითხები, რომლებიც გვაერთიანებს, რომლებიც განამტკიცებს ერთიანობას. ჩვენი მხრივ ყველაფერს ვაკეთებდით და ვაკეთებთ იმისათვის, რომ საკითხები, რომლებიც წარმოიშობა პარტიებს შორის, წყდებოდეს ამხანაგობის სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. თვითეულ პარტიას თავისი წვლილი უნდა შეეტანოს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცების საქმეში. ამ საკითხებს უდგებოდეს იმ პასუხისმგებლობის შეგნებით, რომელიც თვითეულ პარტიას აკისრია მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისა და ერთიანობისათვის.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

---

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

## ზრუნვა ბავშვებისათვის

**მოსკოვი.** (საკდესი). საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, რომ გაძლიერდეს პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობა მუშათა და მოსამსახურეთა ბავშვების აღზრდისათვის.

სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებში შექმნილია ბავშვებსა და მოზარდებს შორის მუშაობის კომისიები, რომლებიც ნახევარ მილიონამდე პროფკავშირულ აქტივს აერთიანებენ. ისინი ხელს უწყობენ წარმოებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებას, დიდად ეხმარებიან მშობლებს ბავშვთა აღზრდაში, მათი გონივრული დასვენების ორგანიზაციაში. ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოში ფართოდ გავრცელდა სეერთო საქარხნო და საამქროთა საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ სკოლას პოლიტექნიკურ და საწარმოო სწავლებაში. საბჭოების შემადგენლობაში შედიან ინჟინრები, ტექნიკოსები, მოწინავე მუშები, მასწავლებლები.

კლუბებში კულტურის სახლებსა და სასახლეებში შექმნილია ხუთი ათასამდე საბავშვო სექტორი, მოწყობილია ოთხ ათასზე მეტი მოსწავლის ოთახი, ცხრაასზე მეტ ნორჩ ტექნიკოსთა კლუბი და რამდენიმე ასეული საბავშვო სპორტული სკოლა. თითქმის 1 მილიონ 400 ათასი გოგონა და ბიჭუნა მეცადინეობს ტექნიკურ წრეებში, მუსიკალურ, თეატრალურ, სამხატვრო და ქორეოგრაფიულ სტუდიებში, უფროს მოსწავლეთა კლუბებში, სექციებსა და სხვადასხვა გაერთიანებაში ინტერესის მიხედვით.

ბევრმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გააძლიერა ბავშვებთან მუშაობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამეურნეო ორგანიზაციისა და კომკავშირული კომიტეტების მონაწილეობით მათ სახლთსამმართველოებში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნეს ასობით საბავშვო კლუბი, სათამაშო და სპორტული მოედანი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო საბჭოებს უზრუნველყონ პროფკავშირული ორგანიზაციების უფრო აქტიური მონაწილეობა სახალხო მეურნეობის სისტემის გარდაქმნის, ცხოვრებასთან, წარმოებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების დამთავრებაში, ბავშვებთან სასწავლო-აღმზრდელობითი და სკოლის გარეშე მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

## ვაზის საკალიბრო ნახევრადავტომატი

**მოსკოვი,** 24 მაისი. (საკდესი). ქალაქ ოდესის № 5 სპეციალური სახელოსნოს სასწავლებლის აღსაზრდელებმა გააკეთეს ვაზის საკალიბრო ნახევრად ავტომატური დანადგარი. მათი ნამუშევარი ამჟამად დემონსტრირებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. მანქანა თვით ზომავს და ახარისხებს ვაზის კალამს, რითაც 8-10 მუშის შრომას ცვლის.

## მტკიცდება სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის

**მოსკოვი.** (საკდესი). როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს საგარეო ვაჭრობის სამინისტროში, ახლა მოსკოვში მიმდინარეობს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის, იმის შესახებ, რომ შესყიდულ იქნეს იუგოსლავიაში დიდი საზღვაო გემები, მათ შორის ტანკერები და მშრალტვირთიანი თბომავლები. მოსალოდნელია აგრეთვე კონტრაქტების დადება იმის შესახებ, რომ იუგოსლავიამ სსრ კავშირს მიაწოდოს სპილენძისა და თითბრის ნაგლინი, ტრიკოტაჟის ნაწარმის მნიშვნელოვანი პარტია, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ვაჭრობა, რომელიც ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა, განუწყვეტლივ ფართოვდება. 1961-1965 წლების გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება ითვალისწინებს შეკვდომ გადიდდეს საქონლებრუნვა წინა ხუთწლეულთან შედარებით. ამ შეთანხმების რეალიზაციაში დიდი ნაბიჯია ოქმი საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ, რომელსაც წელს მოაწერეს ხელი.

საბჭოთა კავშირმა უკვე შეესყიდა იუგოსლავიაში რკინიგზის ცისტერნები, ძალური ტრანსფორმატორები, ფოლადის არმატურა, კაბელის ნაწარმი, ალუმინის ნაგლინი, ფანერა, კოლიუმის კარბიდი, ავეჯი, შავქლიავი და სხვა საქონელი.

იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა, თავის მხრივ, სსრ კავშირში შეიძინეს სხვადასხვა ელექტროტექნიკური, ნავთობსაბურღი და ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობა, სამთო ვაგონებგასაყვანი კომბაინები და ექსკავატორები, სატვირთო ავტომობილები, ბულდოზერები, თვითმფრინავები.

**ტაჯიკეთის სსრ.** ახალი ელექტროგადამცემი ხაზით გადაკვეთილია ვახშის დაბლობი. პერეკეთის ჰიდროელექტროსადგურის დენი ტაშრაბადის ხევში მივა კაფირნის სარწყავი არხის დიუკერისა და ხუთი სატუმბავი სადგურის მშენებლობაზე. **სურათზე:** ელექტროგადაცემის ხაზის მონტაჟი.

ფოტო ა. პოლიაკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## „ციცია“ მოსკოვში

**მოსკოვი,** 25 მაისი. (საკდესის კორესპონდენტი). კრემლის თეატრში დიდი წარმატებით ჩაიარა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლებმა. გუშინ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფილიალში თეატრმა უჩვენა სპექტაკლი „ციცია“. სპექტაკლის დაწყების წინ ავანსცენაზე ავიდა მოსკოვის ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფი. მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობი კვეჭავე თეატრის კოლექტივის სახელით გულთბილად მიესალმა თბილისელ სტუმრებს.

სპექტაკლმა „ციციამ“, მსახიობთა, განსაკუთრებით ჯაფარიძის, რევაზიშვილის, ბარამიძის, ხორავას და სხვათა თამაშმა, მოხიბლა მაყურებელი. დარბაზში არაერთხელ გაისმა მხურვალე ტაში.

**ვოლგოგრადის ოლქი.** შვიდწლედის ბოლოსათვის კამიშინის ბამბეულის კომბინატის ფაქრები დღეღამეში მილიონ მეტრ სხვადასხვა ქსოვილს გამოუშვებენ. კომბინატის მშენებლობა გრძელდება, მოქმედი ფაბრიკები კი უკვე ახლა ყოველ სამ დღეღამეში მილიონ მეტრ ქსოვილს უშვებენ. **სურათზე:** მესლესარი პილაგინ ივანეს ასული ლებედევა.



## კოსმოსური ფრენა დამთავრდა

**ნიუ-იორკი,** 25 მაისი. (საკდესი). ამერიკელი კოსმონავტი კარპენტერი, რომელიც „ამერიკა-7“ კოსმოსური ხომალდის კაფსულით დაეშვა ატლანტის ოკეანეში ანეგალის კუნძულის ახლოს, დაშვების სამი საათის შემდეგ აიყვანა ვერტმფრინავმა, რომელიც გაგზავნა ამ რაიონში ჩასულმა ერთ-ერთმა ხომალდმა.

## „გრძოლა გრძელდება“

**ჰავანა,** 25 მაისი. (საკდესი). სალვადორის უნივერსიტეტის სტუდენტთა საყოველთაო ასოციაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სალვადორის ახალი პრეზიდენტი ხულიო რივერა, რომელიც ამას წინათ ჩაუდგა სათავეში ხელისუფლებას საარჩევნო ფარსის შედეგად, „ეყრდნობა მხოლოდ შეიარაღებული ძალებისა და შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერას და გამოდის ხალხის მასების ნების წინააღმდეგ“.

## უგზავნიან დამხმარე ძალებს

**ლონდონი,** 25 მაისი. (საკდესი). დღეს დასავლეთ ირიანში საესკადრო ნაღმოსნის თანხლებით ჩავიდა ჰოლანდიის გემი, რომელზეც არის 800 ჰოლანდიელი ჯარისკაცი.

როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ჰოლანდიიდან (დასავლეთი ირიანი) იუწყება, დღესვე ღამით იგი გეზს აიღებს კიურასაოსაკენ, საიდანაც უნდა წაიყვანოს ჯარისკაცთა ახალი პარტია.

## უკანასკნელი ცნობები

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

ამხანაგებო! ბულგარელ ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს ჩვენ განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ბევრი საკითხი. მოლაპარაკებამ ცხადყო სრული ერთიანობა ყველა საკითხში, მათ შორის საერთაშორისო საკითხებშიც, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების ერთობლივ განცხადებაში.

საჭირო არ არის გავიმეოროთ ყველაფერი, რაც ამ დოკუმენტში ნათქვამია მთლიანად თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და იმ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების შეფასების გამო, რომლებზეც ცოტათი როდია დამოკიდებული მსოფლიოს ბედი და რომლებიც უკვე დიდი ხანია მოელიან გადაჭრას. მხედველობაში მაქვს უწინარეს ყოვლისა ისეთი პრობლემები, როგორიც არის გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრა, განიარაღების საკითხი, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი.

აღარ გავიმეორებ ჩვენს პოზიციას ყველა ამ საკითხში. ის უკვე საკმაოდ ფართოდ იყო ჩამოყალიბებული საბჭოთა ოფიციალური პირების გამოსვლებსა და პრესაში. კარგად ცნობილია აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციები ამ საკითხებში.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები ყველა ამ საკითხში იჩენენ დაუთმობლობას, არა სურთ მშვიდობიანად მოწესრიგდეს მომწიფებული პრობლემები. მათ ვერ შეუგნიათ ან არა სურთ შეიგნონ, როგორ შეიცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე ამ უკანასკნელ წლებში, და ჯერ კიდევ ცდილობენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა განახორციელონ ჩვენთან ურთიერთობაში.

ამ გიჟური დოქტრინის ავტორი, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა, დოქტრინა კი ჯერ კიდევ ცოცხალია, და დასავლეთის სახელმწიფოების ახლანდელ ხელმძღვანელებს არა სურთ უარყონ იგი. მაგრამ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, რომელმაც დაფნის გვირგვინი ვერ მოუტანა მის შემქმნელს, ვერც იმათ მოუტანს წარმატებას, ვინც ცდილობს განაგრძოს იგი ჩვენს დროში. ეს პოლიტიკა განწირულია ჩასაფუშავად. ახლა, როცა საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერება განუზომლად გაიზარდა, მუქარა, მეტი რომ არა ვთქვათ, სერიოზული არ არის.

განცხადებაში საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მოლაპარაკების შესახებ თქვენ ალბათ წაიკითხავდით, რომ ჩვენმა დელეგაციამ და ბულგარელმა ამხანაგებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდგომარეობის საკითხზე. უკანასკნელი დროის ამბები გვიჩვენებენ, რომ ვითარების ჩვენი გაგება სწორია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დედამიწის ამ რაიონში, ისევე როგორც სხვა ადგილებში, კოლონიზატორები ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდებიან არა სიტყვით, არამედ საქმით აიღონ ხელი კოლონიურ პოლიტიკაზე.

როცა ბულგარელ ხელმძღვანელებთან ერთად განვიხილავდით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ ვითარებას, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო ლაოსში შექმნილი მდგომარეობისათვის. არ შეიძლება ყველა პროგრესულ ადამიანს არ აწუხებდეს ამბები, რაც იქ უკანასკნელ პერიოდში მოხდა.

საბჭოთა მთავრობამ გააკეთა ყველაფერი, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა ლაოსში შეწყდეს ომი, რომელიც დაიწყეს რეაქციულმა ძალებმა მეამბოხე გენერლის ფუმი ნოსავანის მეთაურობით და ამერიკის სამხედრო წრეების მხარდაჭერით. საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავდა იმ პოზიციას, რომ საჭიროა ხელი შეეუწყოთ ლაოსში კოალიციური მთავრობის შექმნას პრინც სუვანა ფუმას მეთაურობით. ჩვენ ვითვალისწინებდით იმას, რომ საკითხის ასეთი გადაჭრა უზრუნველყოფს მშვიდობას ამ ქვეყანაში და დააკმაყოფილებს ლაოსელ ხალხს.

ერთ დროს გვეჩვენებოდა, რომ ლაოსში ვითარების ნორმალიზაცია შორს აღარ არის. გაიმართა ლაოსის მთავარი პოლიტიკური ძალების წარმომადგენელი სამი პრინცის შეხვედრები. მათ მიაღწიეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ კოალიციური მთავრობის შედგენა ევალება პრინც სუვანა ფუმას.

მაგრამ, როგორც ჩანს, საკითხის ასეთი გადაჭრა ხელს არ აძლევდა რეაქციონერებს. სწორედ ამიტომ ფუმი ნოსავანისა და რეაქციის მეორე წარმომადგენლის ბუნ უმის მხრივ დაიწყო მიღწეული შეთანხმების საბოტაჟი. შეიქმნა საკმაოდ უცნაური სურათი. ბუნ უმი და ნოსავანი ფუშავენ შეთანხმებას ლაოსში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ხოლო შეერთებულ შტატებს თითქოს სურთ, მაგრამ არ ძალუძთ გავლენა მოახდინონ მეამბოხეებზე. მაგრამ ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ ბუნ უმი, ფუმი ნოსავანი და ლაოსის სხვა რეაქციონერები მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ცოცხლობენ.

უკანასკნელ ხანს გამოირკვა რეაქციონერთა ახალი პროვოკაცია ლაოსში ქალაქ ნამ-ტასთან. ეს პროვოკაცია იწვევს სერიოზულ ეჭვს, რომ აქ ისახავენ ფართო მიზნებს. არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ეს პროვოკაცია ნავარაუდევი იყო, რათა კვლავ დაიწყოთ ფართო საომარი მოქმედება ლაოსში და ასეთი გზით საბაბი მიეცათ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უფრო აქტიურად ჩაერიონ ამბებში რეაქციული ძალების მხარეზე. ზრახვები შორს გამიზნული იყო, მაგრამ იმას, ვისაც უნდა შეესრულებინა პირველი ვიოლინოს როლი, — ფუმი ნოსავანს როგორც ჩანს, შეეშალა, ის ნოტი როდი აიღო, რომელიც უნდა აეღო. მისდამი დაქვემდებარებულმა ზოგიერთმა ნაწილმა, და ამ რაიონის მოსახლეობამ უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ ბინძურ წამოწყებაში. ამით პროვოკაცია ჩაიშალა, იმათ წინააღმდეგ შეტრიალდა, ვინც იგი წამოიწყო.

ეს საგულისხმო ფაქტია, სერიოზული გაფრთხილებაა ლაოსელი რეაქციონერებისა და იმათ მიმართ, ვინც მხარს უჭერს მათ. თუ ფუმი ნოსავანი და მისი ხროვა კვლავაც შეეცდებიან განახორციელონ პროვოკაციებისა და შანტაჟის პოლიტიკა, ამას შეუძლია კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება ლაოსში. უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილება ტაილანდში ამერიკის ჯარების გადასხმის შესახებ სერიოზულად აძნელებს ლაოსის პრობლემის მოწესრიგებას.

ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე დასავლეთში, თავი რომ დააღწიოს არასახარბიელო მდგომარეობას, რომელშიც მოხვდა, მხარს უჭერს რეაქციულ ძალებს ლაოსში და ცდილობს საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს დააკისროს პასუხისმგებლობა მოვლენებისათვის, რომლებიც მოხდა იქ უკანასკნელ ხანს. შეიძლება ვუთხრათ ამ ვაჟბატონებს: იმის მიზეზი, რაც ახლა ხდება ლაოსში, ეძებეთ თქვენს საკუთარ პოლიტიკაში, იმაში, რომ თქვენ მხარს უჭერთ ბუნ უმს, ფუმი ნოსავანსა და მათ მსგავსთ. ეჭვი არ არის, რომ ასეთი პოლიტიკა, თუ იგი გაგრძელდება, სრული მარცხით დამთავრდება.

შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ, ისევე როგორც პატეტ-ლაოს ხელმძღვანელმა პრინცმა სუფანუვონგმა ამ ბოლო წინათ კვლავ განაცხადეს, რომ ისინი თანმიმდევრულად ემკვიდრებიან შეთანხმებას ლაოსის კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ, რომელიც [illegible] შეხვედრების დროს. ეს შეეხმაურება [illegible] ამიტომ საბჭოთა მთავრობა, [illegible] ტრალური და დამოუკიდებელი ლაოსის [illegible] კითხზე დაეშვარება პოზიციებს, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნა ჟენევის თათბირზე ლაოსის შესახებ და საუბრებში პრეზიდენტ კენედისთან ვენაში. ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ ომის ხანძარი არ გაღვივდეს ლაოსში, მხარს დავუჭერთ ლაოსელი ხალხის სამართლიან მისწრაფებებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ბულგარეთში ჩვენი დელეგაციის მგზავრობის დროს ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა სწრაფად იზრდება და მტკიცდება სოციალიზმის მატერიალური და სულიერი ძალები. სოციალისტური წყობილება ქმნის ყველა პირობას, რომელთა მეოხებით სწრაფად შლის მხრებს ყოველი ხალხი და გადაიქცევა ნამდვილ ბუმბერაზად. ახლა მსოფლიოს ხალხებს სულ უფრო კარგად ესმით, რომ ბედნიერებისა და აყვავების ყველაზე უტყუარი გზა სოციალიზმის, კომუნიზმის გზაა.

ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება დაუვიწყარი შეხვედრები და გულთბილი მიღება, რომელიც ბულგარელმა ხალხმა გაუწია ჩვენს დელეგაციას. გულწრფელად გვახარებს ბულგარეთის მშრომელთა წარმატებანი.

როცა ბულგარეთის ქალაქებსა და სოფლებში ვიყავით, ჩვენ ვამბობდით და ახლაც გვინდა გავიმეოროთ: სულით და გულით ვუსურვებთ ბულგარელ ხალხს, ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით, ბულგარეთის მთავრობას ამხანაგ ანტონ იუგოვის მეთაურობით ახალ დიდ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეში.

ჩვენს ბულგარელ ძმებთან ერთად ვამბობთ: საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობა მტკიცე და ურღვევია. ჩვენი ქვეყნები, ჩვენი ხალხები სწორ გზას ადგანან. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ სავსებით გაამარჯვებს ჩვენი საქმე, კომუნიზმის დიადი საქმე, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა გვიანდერძა.

მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ყურადღებისათვის.

---

## არქივი მოგვითხრობს

# როდის და როგორ შეიტყო ვ. ი. ლენინმა ილია ჭავჭავაძის სიკვდილის ამბავი

ჩვენ ხელთ გვაქვს ქართველი ბოლშევიკების მიერ ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიასათვის გაგზავნილი ორი წერილი, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ი. ჭავჭავაძის მოკვლისა და მისი პიროვნების შესახებ.

როგორც ეს, ისე სხვა წერილები და დოკუმენტები გვაფიქრებინებს, რომ ვ. ი. ლენინმა ბევრი რამ იცოდა ილია ჭავჭავაძის შესახებ, მან ადრევე შეიტყო ილიას მოკვლის ამბავი და იცოდა ისიც, თუ რა დიდი აურზაური გამოიწვია ამ ფაქტმა — და რა განუსაზღვრელი აღშფოთებით შეხვდა მას ქართველი ხალხი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ამბების პირდაპირ ამსახველი ყველა დოკუმენტი დღემდე გამოვლინებული არ არის.

ჯერჯერობით, როგორც ვთქვით, მოპოვებულია ორი წერილი (ეს წერილები აღმოჩენილ იქნა ცენტრალურ პარტიულ არქივში ვ. ი. ლენინის პირად ფონდში). ერთი, რომელიც დათარიღებულია 1913 წლის 16 ივნისით, ეკუთვნის ნ. კიკნაძეს, ხოლო მეორე, რომელიც გაგზავნილია 1914 წლის მაისში ან აგვისტოში, ეკუთვნის მ. დავითაშვილს. ნ. კიკნაძე მაშინ ჟენევაში ცხოვრობდა, ხოლო დავითაშვილი პარიზში და ორივე მათგანს სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან. ისინი უგზავნიდნენ ლენინს ცნობებს საქმის ვითარების შესახებ საქართველოში, აცნობებდნენ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ფაქტებს, და, სავსებით გასაგებია, რომ მათ გააცნეს ვ. ი. ლენინს ილია ჭავჭავაძის პიროვნება და აცნობეს მისი მოკვლის ამბავი.

ნ. კიკნაძემ თავის წერილში აცნობა ვ. ი. ლენინს, რომ 1907 წელს «был убит известный глава всей грузинской... интеллигенции, член государственного совета князь Чавчавадзе». იქვე ნ. კიკნაძე ეხება ილიას პიროვნებას, თუ რას წარმოადგენდა იგი ქართველი ხალხისათვის და წერს, რომ ილიას მოკვლა — ეს იყო მკვლელობა ქართველი ხალხის «национального гения, как они называют **НЕ БЕЗ ОСНОВАНИЯ** своего князя».

მეორედ ი. ჭავჭავაძის შესახებ ვ. ი. ლენინმა ცნობა მიიღო მ. დავითაშვილისაგან. მ. დავითაშვილმა წერილი გაუგზავნა მაშინ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. კ. კრუპსკაიას და, მაშასადამე, ლენინსაც. წერილში ლაპარაკი იყო მალაქია ტოროშელიძის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით იგი აცნობებდა ლენინს, რომ: «Малакия издал свою брошюру об Илье Чавчавадзе (покойный грузинский поэт и публицист).»

ასე გააცნეს ვ. ი. ლენინს ილიას პიროვნება და აცნობეს მისი მოკვლის ამბავი.

ვიმედოვნებთ, რომ ამ მიმართულებით წარმოებული ძიების შედეგად მოპოვებული იქნება ახალი დოკუმენტები, რომლებიც უფრო სრულ წარმოდგენას მოგვცემენ იმაზე, თუ რა იცოდა ვ. ი. ლენინმა ჩვენი სასიქადულო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის შესახებ.

**პროფესორი ვ. ესაიაშვილი.**

---

## სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 40 წლისაა

# სახელოვანი ორმოცი წელი

**ი. ს. ჩიაევი,**
**საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი**

**ორმოცმა** წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით საქართველოს სსრ შემადგენლობაში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს ბეშმარიტად დიდი მოვლენა იყო სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ცხოვრებაში. ავტონომიური ოლქის შექმნამ დასაბამი მისცა სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ განვითარებას, ძველად შევიწროებული და დაბეჩავებული ხალხის ცხოვრების აყვავებასა და გაფურჩქვნას.

მძიმე იყო სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ხვედრი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

საქართველოში მენშევიკების ბატონობამ, მენშევიკების ანტიხალხურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო აღშფოთა სამხრეთ ოსეთის მშრომელები, ულმობელი გახდა რევოლუციური ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

დაიწყო ახალი ერა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში, დადგა დრო, რომელზეც ოცნებობდნენ ოსეთის საუკეთესო შვილები. დიდი ოსი პოეტი რევოლუციონერი კოსტა ხეთაგუროვი ჯერ კიდევ ადრე წერდა, რომ მშრომელთა მასები გათავისუფლდებიან საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან და აღშენებენ „ბრიმითი ცხოვრების ტაძარს, ძალმომრეობისათვის მიუდგომელს, შეგნებული ბრძოლის ტაძარს, სადაც არ იქნება ტანჯვა-წამება და სისხლი, წმინდა სინდისისა და მოუსყიდველი სიმართლის, განათლების, თავისუფლებისა და სიყვარულის ტაძარს“.

შეუდგნენ სამხრეთ ოსეთის მშრომელები თავისუფლებისა და სიყვარულის ტაძრის მშენებლობას. 1922 წლის 22 აპრილს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მესამე დღეს გაზეთი „პრავდა გრუზიი“ ამ დიდი აქტის შესახებ წერდა: „დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ სამხრეთ ოსეთის გმირი ხალხის სამეურნეო აღდგენისა და პოლიტიკური განვითარების ერთადერთი და საუკეთესო გარანტიაა, ხალხისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველია“.

სამხრეთ ოსეთს არ გაუვლია კაპიტალისტური განვითარების გზა, რევოლუციამდე მას არ ჰქონდა მრეწველობა. სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ამჟამად სამხრეთ ოსეთში მოქმედებენ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. ეს საწარმოები კი ცოტა როდია.

სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციას შეადგენს: ტყვიისა და თუთიის კონცენტრატები, თაღკი, ბარიტი, მიკროქვაბები, ელექტროვიბრაციული მანქანები, მომინანქრებული სადენები, ავეჯი, მრავალი სახის სამშენებლო მასალა, ტანსაცმელი... სამხრეთ ოსეთში ფერად მეტალურგიას და არამადნეული წიაღისეულის საწარმოებს დიდი პერსპექტივები აქვთ. გეოლოგიურსაძიებო სამუშაოთა შედეგად აღმოჩენილია მადნეული და არამადნეული წიაღისეულის მრავალრიცხოვანი საბადოები, ამიტომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ გაკეთდება.

ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანა პირველი და, ჯერჯერობით ერთადერთია საბჭოთა კავშირში. ვიბრაციული მანქანებისა და მომინანქრებული სადენების ქარხნების მწყობრში ჩაყენებით სამხრეთ ოსეთის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა. სასიხარულოა, რომ ამ საზეიმო დღეებში, როცა სამხრეთ ოსეთის მშრომელები ავტონომიური ოლქის შექმნის 40 წლისთავს აღნიშნავენ, ჩვენი საწარმოები მაღალნაყოფიერად მუშაობენ და გეგმებს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებენ.

სამრეწველო საწარმოთა წარმატებებს ხელს უწყობს მოწინავე მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის სამეურნეო საქმიანობა. ოსეთის მშრომელები პატივს სცემენ თავიანთ სახელოვან ადამიანებს. ასეთთა რიცხვს კი პირველ რიგში უნდა მიეკუთვნოს კვაისის ტყვიათუთიის საბადოს მბურღავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალიხან ხუგაევი, ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის წარჩინებული ოსტატი სამსონ ტურაშვილი, მომინანქრებული სადენების ქარხნის მუშა ზაურ კულუმბეგოვი და სხვები.

რა ღირსშესანიშნავია ის ცვლილებები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტი ძალა გახდა საკოლმეურნეო წარმობა. ერთნაირი ყურადღებით მოცულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგი: მეცხოველეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა, მევენახეობა.

მდიდარი და ლამაზია ოსეთის ალპური და სუბალპური სათიბები და საძოვრები. საზაფხულო იალაღებზე მიმოფანტული ნახირია შთიელთა სიამაყე და სიხარული. 1961 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობიდან მიღებულმა შემოსავალმა საერთო ფულად შემოსავლის 42 პროცენტი შეადგინა.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვანი გადიდება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა როგორც სახორცე, ისე მერძეული პირუტყვის მოშენებას. ამ შესაძლებლობებს იძლევა ჯერ კიდევ ნაკლებად დატვირთული ალპური და სუბალპური საძოვრები ჯავისა და ლენინგორის რაიონებში.

ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა. ეს კი ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს სწორად მოვაწყოთ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, აგრეთვე ღორების სუქება, უმთავრესად საზაფხულო იალაღებზე. საჭიროა მკვეთრად გადიდდეს რძის წარმობა, გადახალისდეს, გაუმჯობესდეს მერძეული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების იმ დიდი ამოცანის შესრულება, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა.

მემინდვრეობას უმთავრესად მისდევენ ოლქის დაბლობ, აგრეთვე მთისპირა ზონაში. მოდის შემოდგომისა და გაზაფხულის ხორბალი, სიმინდი, ტექნიკური კულტურები. მრავალი მოწინავე მესიმინდე, მეკარტოფილე ჰყავს სამხრეთ ოსეთს. ერედვის საბჭოთა მეურნეობაში მესიმინდეთა რამდენიმე ბრიგადაა, რომლებმაც გასულ წელს აღებული ვალდებულება პირნათლად გაანაღდეს და სიმინდის უხვი მოსავალი მიიღეს. მოწინავე მესიმინდეებად ითვლებიან ქსუისის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი გ. ნასყიდაშვილი, ერედვის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ნიკოლოზ ბერეზაშვილი, დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირი თენგიზ ჯიოევი და სხვ. არსებობს ყველა შესაძლებლობა იმისა, რომ მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ ყველა ჩამორჩენილი კოლმეურნე თუ კოლმეურნეობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენ მნიშვნელოვნად გავადიდეთ სათოხნი კულტურების ფართობი მრავალწლიანი ბალახების შემცირების ხარჯზე. ახლა მეტი ითესება სიმინდიჯ, შაქრის ჭარხალი, საკვები ძირხვენები.

კოლმეურნეობებში ფართოდ მოიკიდა ფეხი პარკოსანმა კულტურებმა, კერძოდ ძვირფასმა კულტურამ ბარდამ. მაგრამ ეს მხოლოდ დიდმნიშვნელოვანი საქმის დასაწყისია. სერიოზულად დგას საკითხი მიწის ყველა სავარგულების ნაყოფიერად, მოფიქრებულად გამოყენების შესახებ. მეტი უნდა იყოს სათხნი კულტურები, რომლებიც ნიადაგსაც ანოყიერებენ და მეტ პროდუქტებსაც იძლევიან.

სამხრეთ ოსეთის, კერძოდ ლიახვის ხეობის ხილი გამოირჩევა მაღალი საგემოვნო თვისებებით, გამძლეობით, ტრანსპორტაბელობით. მასზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც ბაზარზე, აგრეთვე ხილეულის წვენისა და საკონსერვო ქარხნებში. წელს ცხინვალში დამთავრდება საკონსერვო ქარხნის მშენებლობა და დაიწყება ჩვენი ხილისა და ბოსტნეულის ადგილზე გადამუშავება. ეს ჩვენს წინაშე დიდ ამოცანას აყენებს. ქარხანა რომ უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულით, საჭიროა ბაღების, ვენახების, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ფართობების გადიდება. ჩვენი ოლქის პარტიული ორგანიზაციებიც სწორედ ამ გზას ადგანან. ხილის ბაღების გასაშენებლად სარწყავი ადგილები მოგვეპოვება, ხოლო რაც შეეხება ვენახებს, მათი გაშენება ურწყავ ადგილებშიც დასაშვებია.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანს გატარებულ ღონისძიებებს, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მართვის რეორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ოლქისათვისაც. და ეს უთუოდ შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდება და იფურჩქნება სამხრეთ ოსეთის მშრომელთა კულტურა.

ასობით საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლა ემსახურება მშრომელთა ბავშვების განათლების საქმეს. ამას გარდა ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, სპეციალური საშუალო სასწავლებლები, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

სამხრეთ ოსეთს აქვს თავისი ეროვნული ლიტერატურა, მწერლობა, თეატრი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. პარტიული ორგანიზაციები სათუთად ეკიდებიან ადამიანის სულიერი აღზრდის საკითხებს. განსაკუთრებით ძლიერ ვითარდება ოსური ლიტერატურა ომისშემდგომ პერიოდში. მხატვრები თუ დრამატული თეატრის მსახიობები, სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავენი თუ მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტები — ყველანი დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ აღზარდონ ჩვენი თაობა კომუნიზმის ნათელ პრინციპებზე.

ოდეს სამხრეთ ოსეთის მშრომელები ზეიმობენ ორმოცი წლის მანძილზე მიღწეულ წარმატებებს. მაგრამ ჩვენ როდი გვავიწყდება, რომ წინ კიდევ დიდი და სერიოზული ზღვდეებია გადასალახავი. ოსეთის მშრომელი ხალხი მზად არის გააკეთოს ყველაფერი, რასაც ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა უსახავენ.

## გამრჯე ადამიანის ხვედრი

**ორმოსანი** ლენინგორის რაიონის პატარა სოფელია, რომელიც ტირიფონის ველზე მდებარეობს. აქ ყველა კარგად იცნობს მოწინავე კოლმეურნეს, ახალგაზრდა მწველავს ნორა მელაძეს. ფერმის კოლექტივი ნორას მეორე ოჯახად იქცა, ყველა ეხმარებოდა ახალგაზრდა მწველავს. მთავარი კი ის იყო, რომ თვითონ ნორა მთელი მონდომებით შრომობდა.

გასულ წელს მან თვითეული ძროხიდან 1.600 ლიტრი რძე მიიღო. მთის პირობებში ეს მცირე მაჩვენებელი როდია.

მოწინავე მწველავს ხალხმა დიდი ნდობა გამოუცხადა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია. ამან კიდევ უფრო გაზარდა მისი პასუხისმგებლობა. წელს მან ვალდებულება აიღო თვითეული ძროხიდან მიიღოს 2.000 ლიტრი რძე.

**ვ. ცოფნიაშვილი.**

* * *

**სურათზე:** ნორა მელაძე.

---

**ორმოცდა** წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით საქართველოს სსრ შემადგენლობაში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს ბეშმარიტად დიდი მოვლენა იყო სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ცხოვრებაში. ავტონომიური ოლქის შექმნამ დასაბამი მისცა სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ განვითარებას, ძველად შევიწროებული და დაბეჩავებული ხალხის ცხოვრების აყვავებასა და გაფურჩქვნას.

მძიმე იყო სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ხვედრი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

საქართველოში მენშევიკების ბატონობამ, მენშევიკების ანტიხალხურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო აღშფოთა სამხრეთ ოსეთის მშრომელები, ულმობელი გახდა რევოლუციური ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

დაიწყო ახალი ერა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში, დადგა დრო, რომელზეც ოცნებობდნენ ოსეთის საუკეთესო შვილები. დიდი ოსი პოეტი რევოლუციონერი კოსტა ხეთაგუროვი ჯერ კიდევ ადრე წერდა, რომ მშრომელთა მასები გათავისუფლდებიან საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან და აღშენებენ „ბრიმითი ცხოვრების ტაძარს, ძალმომრეობისათვის მიუდგომელს, შეგნებული ბრძოლის ტაძარს, სადაც არ იქნება ტანჯვა-წამება და სისხლი, წმინდა სინდისისა და მოუსყიდველი სიმართლის, განათლების, თავისუფლებისა და სიყვარულის ტაძარს“.

შეუდგნენ სამხრეთ ოსეთის მშრომელები თავისუფლებისა და სიყვარულის ტაძრის მშენებლობას. 1922 წლის 22 აპრილს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მესამე დღეს გაზეთი „პრავდა გრუზიი“ ამ დიდი აქტის შესახებ წერდა: „დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ სამხრეთ ოსეთის გმირი ხალხის სამეურნეო აღდგენისა და პოლიტიკური განვითარების ერთადერთი და საუკეთესო გარანტიაა, ხალხისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველია“.

სამხრეთ ოსეთს არ გაუვლია კაპიტალისტური განვითარების გზა, რევოლუციამდე მას არ ჰქონდა მრეწველობა. სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ამჟამად სამხრეთ ოსეთში მოქმედებენ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. ეს საწარმოები კი ცოტა როდია.

სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციას შეადგენს: ტყვიისა და თუთიის კონცენტრატები, თაღკი, ბარიტი, მიკროქვაბები, ელექტროვიბრაციული მანქანები, მომინანქრებული სადენები, ავეჯი, მრავალი სახის სამშენებლო მასალა, ტანსაცმელი... სამხრეთ ოსეთში ფერად მეტალურგიას და არამადნეული წიაღისეულის საწარმოებს დიდი პერსპექტივები აქვთ. გეოლოგიურსაძიებო სამუშაოთა შედეგად აღმოჩენილია მადნეული და არამადნეული წიაღისეულის მრავალრიცხოვანი საბადოები, ამიტომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ გაკეთდება.

ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანა პირველი და, ჯერჯერობით ერთადერთია საბჭოთა კავშირში. ვიბრაციული მანქანებისა და მომინანქრებული სადენების ქარხნების მწყობრში ჩაყენებით სამხრეთ ოსეთის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა. სასიხარულოა, რომ ამ საზეიმო დღეებში, როცა სამხრეთ ოსეთის მშრომელები ავტონომიური ოლქის შექმნის 40 წლისთავს აღნიშნავენ, ჩვენი საწარმოები მაღალნაყოფიერად მუშაობენ და გეგმებს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებენ.

სამრეწველო საწარმოთა წარმატებებს ხელს უწყობს მოწინავე მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის სამეურნეო საქმიანობა. ოსეთის მშრომელები პატივს სცემენ თავიანთ სახელოვან ადამიანებს. ასეთთა რიცხვს კი პირველ რიგში უნდა მიეკუთვნოს კვაისის ტყვიათუთიის საბადოს მბურღავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალიხან ხუგაევი, ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის წარჩინებული ოსტატი სამსონ ტურაშვილი, მომინანქრებული სადენების ქარხნის მუშა ზაურ კულუმბეგოვი და სხვები.

რა ღირსშესანიშნავია ის ცვლილებები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტი ძალა გახდა საკოლმეურნეო წარმობა. ერთნაირი ყურადღებით მოცულია სოფლის მ

*კმაყოფილი ხართ თქვენი სასადილოთი?!*

# ცხელი კერძი და ცივი გული

**დადგა** შესვენება. კიროვის ჩარხსაშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურე ე ე ბმა სასადილოს მიაშურეს, დიდი დარბაზი მალე აივსო, აქ ცხელი კერძები და ყუთიანი საუზმე ხვდებათ მოსულებს. გემრიელი კერძების ფართო ასორტიმენტი იაფი და ხელსაყრელია ქარხნის ყველა მუშაკისათვის.

აქ დღიურად საშუალოდ 25 დასახელების სხვადასხვა კერძი მზადდება. შვედიკართ სასადილო დარბაზში. სისუფთავეა. სხვადასხვა სახის ძეხვეული, ყველი, კარაქი, რძე, თონის პური, გამაგრილებელი და მინერალური წყლები, წვნიანი და მშრალი ულუფები დროულად, შეუფერხებლად ეძლევათ მუშებს. ორი კერძისაგან შემდგარი სადილი — პირველი და მეორე საშუალოდ 40-50 კაპიკი უჯდება მუშას.

ქარხნის ხელმძღვანელობა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად უწევენ კონტროლს სასადილოს მუშაობას. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ სასადილომ საგრძნობლად გაუმჯობესა თავისი მუშაობა და მომხმარებლის მადლობას იმსახურებს.

ასევე კარგად მუშაობს მაუდ-კამოლის კომბინატის მუშათა სასადილო. აქ, გარდა იმისა, რომ ყოველდღიურად მზადდება მრავალი სხვადასხვა ცხელი კერძი, აქვთ საკუთარი ტკბილეულის საცხობი, რომელიც მუშებს ამარაგებს ახალ-ახალი ღვეზელით, ფუნჩულებით და სხვადასხვა ტკბილეულით. ვრცელ და ნათელ სასადილო დარბაზში ყველგან სისუფთავე და წესრიგია.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობენ სასადილოებისა და წარმოების ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სასადილოების მუშაობას, მას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან.

კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის მაღაზიაში 24 მაისს უშვარგის ძეხვს ყიდდა გამყიდველი თ. მიხანაშვილი. შემოწმებით დადასტურდა, რომ ეს ძეხვი მაღაზიას მიღებული ჰქონდა 17 მაისს, მაშინ როცა ასეთი ძეხვის რეალიზაცია 24 საათში უნდა მოხდეს.

ამავე ფაბრიკის სასადილოში (გამგე ვ. სარქისოვი) „სანიმუშო" ანტისანტარია დაგვხვდა, კერძით სავსე თაღლია ქვაბებთან იატაკს გვიდა დამლაგებელი, ირგვლივ ბლომად იყო ნაგავი.

ამ სასადილოში ბუფეტი არ მუშაობს, რადგან მებუფეტე არა ჰყავთ. ამიტომ მუშებს ცივი საუზმე არა აქვთ. მაღაზიაში გვითხრეს, ყველზე დიდი მოთხოვნილებაა, სასადილოს გამოკეტილ ბუფეტში კი ყველი ჰქონდათ გადანახული და არ ჰყიდდნენ.

რა ხარისხიანიც უნდა იყოს ცხელი კერძი, ასეთ ანტისანტარიაში დაძაბადებული სადილი, რა თქმა უნდა, კაცს არ ესიამოვნება. ფაბრიკის ექთანი ი. ჯაფარიძე კი აქვე იყო და უშფოთველად შეჰყურებდა ამ მდგომარეობას.

ცხადია, აქ სასადილოსა და მაღაზიის ხელმძღვანელობა სუსტად მუშაობს, მაგრამ საყვედური წარმოების ხელმძღვანელობასაც ეკუთვნის, მას რომ სათანადო მომთხოვნელობა გამოეჩინა, სათანადო კონტროლი გაეწია, ასეთ დარღვევებს ადგილი არ ექნებოდა.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თბილისის პირველ მექანიკურ ქარხანაში პირდაპირ საგანგაშო მდგომარეობაა. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები სამართლიანად არიან აღშფოთებულნი უგემური და უხარისხო კერძების გამო. აქ მხოლოდ სამი სახის კერძი ვნახეთ დამზადებული.

მარცხენა სანაპიროს სასადილოების ტრესტი № 2 ავი მოიჯარადრესავით ეკიდება ქარხანას. ეს სასადილო (გამგე პ. კასრაძე) ნაწილობრივ ქარხანას ეკუთვნის, მეტწილად — ტრესტს.

ქარხნის ადგილკომის სხდომაზე არაერთხელ უმსჯელიათ ამის შესახებ, მაგრამ ამაოდ...

აქ უხეირო კერძის საჭმელად უხეირო კოვზიც კი ძლივს მოიძებნება. სულ 20-30 კაცი თუ შევა ამ სასადილოში ქარხნიდან. ამის ორი მიზეზი აქვს. ერთი ის, რომ უგემური კერძის ჭამას სხვაგან წასვლას, ანდა სახლიდან მოტანილი საუზმის ჭამას ამჯობინებენ, მეორე ის, რომ სასადილო სავსეა ღვინის ბოთლებით — მისი გამსაღებლებით.

ეს სასადილო წინათ მარტო ქარხანას ეკუთვნოდა, მერე ტრესტმა საქვეყნო გახადა, ახლა ხორცის კარგი ნაჭრები და სხვა რამ „დარდიმანდი" მოქეიფეებისათვის არის გადანახული.

ფაქტიურად ამ სასადილოთი ქარხანა არ სარგებლობს, სახელად კი ქარხნისაა, ბინის, წყლის, სინათლის ქირას ქარხანა იხდის, რემონტის ფულსაც წარმოებას ახდევინებენ. 1961 წელს ეს სასადილო ქარხანას 25 ათასი მანეთი დაუჯდა (ძველი ფულით). ამ ფულით იმ მუშებს, რომლებიც ამ სასადილოში დადიან, მთელ წელიწადს სულ უფასოდ გამოჭკვებავდა ქარხანა.

დირექცია და მუშები გაეცალებულნი არიან სასადილოს ცუდი მუშაობით. სასადილოში რომ შეგვიდით, ღვინის ბოთლების ყუთები ერთმანეთზე ეწყო. ამბობენ, ტრესტის მმართველს ფაჩუაშვილს გეგმის შესრულებისათვის აუცილებლად მიაჩნია ღვინით ვაჭრობაო. საკვირველია, თუ კი კერამიკული კომბინატის ან სხვა რომელიმე ქარხნის სასადილო გეგმას ასრულებს ისე, რომ იქ ღვინოს არ სვამენ და ჰარიარალე არ გაისმის, თბილისის პირველი მექანიკური ქარხანა რატომ უნდა იყოს გამონაკლისი?

სამზარეულოში შეგვიდით, აქ ისეთი უსუფთაობა დაგვხვდა, რომ კაცის თვალს არ შეეხედებოდა. არსებულმა მდგომარეობამ მეტად განგაცვიფრა, გამობრუნებას ვაპირებდით. განაწყენებას მიგვიხვდნენ, და წინ ერთი მანდილოსანი გადაგვიდგა, თავაზიანად გვითხრა:

— მართალია, უსუფთაობა არის, სადილები კარგი ხარისხისა არ მზადდება, მაგრამ მდგომარეობას მალე გამოვასწორებთ.

მოსაუბრე გამოდგა ტრესტის ინჟინერ-ტექნოლოგი ეთერ ჯანიაშვილი.

— ხშირად დადიხართ ადგილებზე? — შეეკითხეთ ჯანიაშვილს.

— დიახ, იყო პასუხი.

— შეიძლება ამატომ იყო, რომ 24 მაისს დღის პირველის 15 წუთზე თქვენს ტრესტში არც ერთი კაცი არ იყო, არც მმართველი, არც ერთი მოადგილე. ერთ განყოფილებაში თერთმეტი ცარიელი მაგიდა დაგვხვდა.

— ვშრომობთ!.. — გვითხრა ინჟინერ-ტექნოლოგმა.

ე. ჯანიაშვილმა „დაგვარიგა", „რჩევა მოგვცა" და, ბოლოს, დასძინა, დღეს მთელი დღე აქ ვიშუშავე, ხელმძღვანელობას ვუწევდი, ტექნოლოგიას ვაუმჯობესებდიო. ეს ძეიძლება ასეც იყოს, ოღონდ ჩვენ, არაპროფესიონალებმა, ვერაფერი შევატყეთ, ბოთლები კი... ღვინის ბოთლები მასრებივით იყო ჩაწყობილი, ჩალამაზებული...

თუ მარცხენა ნაპიროა სასადილოების № 2 ტრესტი ისე შრომობენ, როგორც 24 მაისს იქ სასადილოში ე. ჯანიაშვილი საქმიანობდა, საქე კარგად ყოფილა!

მთელი ჩვენი ქვეყანა კარგად იცნობს თბილისის სახელოვან ქარხანა „ელექტროგამშვებს".

...ქარხნის პარტორგანიზაციის მდივნის კაბინეტში შეგვიდით. პარტბიუროს წევრები შეკრებილიყვნენ.

— მუშათა სასადილოზე გვინდა შეგიკითხოთ...

— ოო... ამ მხრივ ჩვენთან მუშაობა გაუმჯობესდა! — გვითხრა პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ო. პეტრიაშვილმა.

— ჩვენ უკვე ვნახეთ ზოგი რამ...

— ვუთხარით და ვუამბეთ, რაც ვნახეთ.

...სასადილოს დარბაზის შესასვლელ კარში ეოთ ონკანთან ორი პატარა ჩვარი ეკიდა — ეს ხელსაბანია, ერთადერთი ხელსაბანი. შესვენებისას აქ რიგი და ერთი აყალ-მაყალი იმართება.

ჯერ სადილობის დრო არ იყო, და ორი-სამი კაცი მშრალ საუზმეს შეექცეოდა. თვალში გვეცა, რომ თეფშების ნაცვლად ქაღალდის ნაგლეჯებია გამოყენებული.

სამზარეულოში გამურული ცეცხლფარეში მტვრევდვით ჩამომჯდარი დაგვხვდა სასწორზე. მზარეული აქვთ შემოგვედავა:

— პატრონი არა ჰყავს აქაურობას, თუ რაშია საქმე, შეშას არ გვაძლევენ, გადასაყრელი აუთბილთ ვახურებთ ღუმელს, ეს რა ღუმელია!..

მართლაც ასეთი ღუმელით შორს ვერ წავალენ აქაური კულინარები.

მალე ეკიმი ე. ჯალაღანია გაჩნდა თეთრი, ქათქათა ხალათით. ერთი მისი გულისწყრომა გენახათ. სანეპიდსადგურს ვეხვეწით და ვემუდარეთ, დალუქეთ, დახურეთ ეს უპატრონო სასადილო, იქნებ წარმოების ხელმძღვანელებმა მერე მაინც იფიქრონ სამზარეულოს მოწყობაზე.

აშკარად ჩანს რომ სასადილოსადმი ყურადღება ნაკლებია, არავითარი საზოგადოებრივი კონტროლი არ ხორციელდება.

სადილობის დროს მუშას ყოველ ბოთლ ლიმონათზე დამატებით ორ შაურს ახდევინებენ.

—რატომ?!..—ვკითხეთ მებუფეტეს.

— ეს ტარის ფულია, რა ვიცი, იქნებ ბოთლი გატყდეს ან დაიკარგოს,—ურცხვად გვიპასუხა მან.

ეს უკანონო მოქმედება მუშების კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

უხეირო ხელმძღვანელობის საქმისადმი ყოვლად გულგრილი დამოკიდებულების გამო ზოგიერთი მუშათა სასადილოს საქმე ასე თვითდინებაზეა მიშვებული.

საიდუმლო არ არის, რომ წარმოების ბევრი ხელმძღვანელი სასხვათაშორისოდ ეკიდება მუშათა სასადილოების საქმეს, ფიქრობს, გეგმა შეესრულო, წუნდებული პროდუქცია არ გამოვიშვა, და თუ მუშათა სასადილოების მომარაგებასა და საქმიანობას სათანადო ყურადღებას ვერ მივაქცევ, ამის გულისათვის ვინ რას მეტყვიაო.

ქარხნის სასადილო მუშათა კვების საამქროა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას, რომ იგი განსაკუთრებული გულისყურსა და მკაცრ კონტროლს მოითხოვს.

კვების მუშაკებს რთული და პასუხსაგები მოვალეობა აკისრიათ, უნდა ვიფიქროთ, ვიხმარებოდეთ და პატივს ვცემდეთ მათ, რათა წარმოების სასადილო კვების ნამდვილ საამქროდ ვაქციოთ.

სასტიკად უნდა დავსაჯოთ ისინი, ვინც ცხელი და გემრიელი კერძის მომზადებას ცივი გულით ეკიდება.

**ზ. ჯამასპიშვილი,**
**რ. დვალიშვილი,**
**ბ. ბახტურიძე.**

## კინოფესტივალის შედეგები კანში

**პარიზი, 24 მაისი. (საკადესი). გამოცხადდა შედეგები მეთხუთმეტე საერთაშორისო კინოფესტივალისა, რომელიც გუშინ დამთავრდა კანში, სამხრეთ საფრანგეთში. ფესტივალის უმაღლესი პრემია „ოქროს პალმის შტო" მიენიჭა ბრაზილიურ ფილმს „გაცემულ პირობას", სპეციალური პრემიები მიიღეს ფრანგულმა ფილმმა „ანა დ" არკის პროცესმა" და იტალიურმა „დაბნელებამ".**

**საუკეთესო კინემატოგრაფიული ინტერპრეტაციისათვის პრემია მიიღო ბერძნულმა ფილმმა „ელექტრამ", რომელიც დადგმულია ევრიპიდეს ტრაგედიის მიხედვით. პრემია საუკეთესო კომედიისათვის ერგად ხვდა იტალიურ კინოსურათს „გაურა იტალიურად". საუკეთესო ავტორული შესრულებისათვის პრიზებით დაჯილდოებულია ოთხი შემსრულებელი მთავარი როლებისა ამერიკულ ფილმში „ხნგრძლივი მოგზაურობა ღამისაკენ" და ორი შემსრულებელი ინგლისურ ფილმში „თაფლის გემო".**

**მოკლემეტრაჟიანი ფილმების თანრიგში „ოქროს პალმის შტო" მიეკუთვნა ფრანგულ ფილმს „ბუს მდინარეს". სპეციალური პოეზიები მიიღო პოლონურად მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „ლოდინმა" და ჰოლანდიურმა „ანმა".**

**წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 36 ქვეყნის 60-ზე მეტი სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმი. საბჭოთა კავშირმა უჩვენა მხატვრული ფილმი „როცა ხეები დიდი იყო" და მულტიპლიკაცია „დიდი უსიამოვნება".**

**საკადესის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა კანს და სთხოვა ფესტივალის ჟიურის წევრს ი. რაიზმანს გაეზიარებინა აზრი ფესტივალის შედეგების შესახებ.**

**საერთოდ, განაცხადა ი. რაიზმანმა, ჟიურის გადაწყვეტილება შეიძლება შედარებით სამართლიანად ჩაითვალოს, თუმცა მას ეტყობა მეტისმეტი აჩქარება და ერთგვარი ტენდენციურობაც კი.**

**უმაღლესი პრემია „ოქროს პალმის შტო" სავსებით სამართლიანად ერგო ბრაზილიურ კინოსურათს „გაცემულ პირობას".**

**მართლაც დაიმსახურა სპეციალური პრემია იტალიურმა ფილმმა „დაბნელებამ". სრულმეტრაჟიანი სურათებისათვის დანარჩენი პრემიების მინიჭება უდავო როდია, განაცხადა ი. რაიზმანმა.**

# ჩვენი სტუმრები

**მოსკოვი, 24 მაისი. (საკადესი). მალის სახელმწიფოს მეთაურმა და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ მოდიბო კეიტამ და მისმა თანამგზავრებმა: მინისტრებმა, დეპუტატებმა, პროფკავშირულ, ქალთა, ახალგაზრდობისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა დღეს დაიწყეს მგზავრობა საბჭოთა კავშირში.**

**ტაშკენტი, 24 მაისი. (საკადესი). სტუმართმოყვარულად შეხვდნენ დღეს უზბეკეთის დედაქალაქის მშრომელები მალის სახელმწიფოს მეთაურსა და რესპუბლიკის თავმჯდომარეს მოდიბო კეიტას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობს, და მასთან ერთად ჩამოსულ პირთ.**

**აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო მალის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ალმებით, მოდიბო კეიტასა და მის თანამგზავრებს შეხვდნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. კურბანოვი და სხვები. საფრენ მოედანზე შეკრებილი ტაშკენტის მშრომელები გულითადად მიესალმნენ აფრიკის მეგობარი რესპუბლიკის წარმომადგენლებს.**

**აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა მალის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ჰიმნები. ბავშვებმა დიდი თაიგულები მიართვეს საპატიო სტუმრებს. რ. კურბანოვმა და მოდიბო კეიტამ აეროდრომზე ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.**

**საპატიო სტუმარი ი. ს. ნასრიდინოვასთან და რ. კურბანოვთან ერთად ღია მანქანით გაემგზავრა მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში.**

**ახალი შესანიშნავი პერსპექტივებია შავი ზღვის ერთ-ერთი საუცხოო კურორტის — ადლერის წინაშე.**
**სურათზე:** ადლერის საკურორტო ქალაქის მაკეტი.
ფოტო „ახალი ამბების" საკგენტოსი.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

**□ 2-დან 15 მაისამდე კუბაში დიდი წარმატებით ჩაიარა საბჭოთა კავშირის სამედიცინო მოწყობილობის გამოფენამ. 23 მაისს გამოფენაზე ექსპონირებული მთელი მოწყობილობა, ინსტრუმენტები და მედიკამენტები საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით საჩუქრად გადაეცა კუბელ ხალხს.**

**□ ძალაძ პანამაში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია იმ სტუდენტთა დემონსტრაციის დახვრეტის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვდნენ პანამისათვის პანამის არხის გადაცემას. დემონსტრანტებს მოჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც წარწერილი იყო პანამაში ამერიკელთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო ლოზუნგები. „პანამა ბატონ-პატრონია არხის ზონაში, და ჩვენ დავამტკიცებთ ამას", „ჩვენ არ გვინდა ვისწავლოთ შეერთებულ შტატებში დაბეჭდილი წიგნებიან", „პროგრესისათვის კავშირი — ექსპლოატაციის საფარველია", „იანკებო წაეთრიეთ" — ასე ეწერა პლაკატებზე.**

**□ სულ უფრო მეტი ინგლისელი სწავლობს რუსულ ენას, იუწყება ინგლისური გაზეთი „დეილი სკეტჩი". ოფიციალური მონაცემების თანახმად, ამჟამად რუსულ ენას ასწავლიან 330 სასწავლებელში. გარდა ამისა, ბევრი ინგლისელი დამოუკიდებლად სწავლობს რუსულ ენას. (საკადესი).**

## პროვოკაციორებს — საკადრისი პასუხი

**რიო-დე-ჟანეირო,** 24 მაისი. (საკადესი). ბრაზილიელები ერთსულოვნად გმობენ ბრაზილიის რეაქციული წრეების ანტისაბჭოთა პროვოკაციას, რომლებიც ცდილობდნენ ბომბი აეფეთქებინათ საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე რიო-დე-ჟანეიროში.

სან-პაულოში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც ეს პროვოკაცია დაგმეს.

„საბჭოთა გამოფენაზე შეგდებული ბომბი, — წერს გაზეთი „ულტიმა ორა", — მიმართულია არა მარტო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე ყველა ბრაზილიელის წინააღმდეგ. ჩვენი სამშობლოს აწმყოს და მომავლის წინააღმდეგ". „საბჭოთა გამოფენაზე, — წერს გაზეთი „დე ნოტიისიანი" ბომბი შეაგდეს ლასერდას აგენტებმა.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო სამრეწველო გამოფენა ჯერ-ჯერობით ნორმალურად მუშაობს. ერთ დღეში გამოფენა დაათვალიერა რიო-დე-ჟანეიროს მრავალმა ათასმა მცხოვრებმა.

## საჩუქარი ინდონეზიელ მეცნიერებს

**ჯაკარტა, 24 მაისი. (საკადესი). დღეს აქ გაიმართა ცერემონია, რომელზეც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საჩუქარი — საზღვაო საექსპედიციო კატარღა, აგრეთვე სამეცნიერო მოწყობილობა გადაეცა ინდონეზიის სამეცნიერო საბჭოს.**

**ოქმს საჩუქრის გადაცემის შესახებ ხელი მოაწერეს საბჭოთა ელჩმა ნ. ა. მიხაილოვმა და ინდონეზიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ სარვოიო პრავიროჰარჯომ. ცერემონიას დასწრო ინდონეზიის ეროვნული კვლევის მინისტრი პუსპონეგორო.**

# სხვა არჩევანი არ არის

**ჟენევა,** 24 მაისი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება:

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა დღეს მექსიკის დელეგატის თავმჯდომარეობით მოაწყო თავისი ორმოცდამეერთე პლენარული სხდომა, რომელზეც გრძელდებოდა განხილვა ღონისძიებებისა საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ფარგლებში. დღევანდელ სხდომაზე განცხადებები გააკეთეს რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, იტალიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებმა.

ამერიკის დელეგატმა კვლავ ვრცლად ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარდგენილ ღონისძიებებზე „მშვიდობის შენარჩუნებისა და იმ დავის მშვიდობიანი გადაჭრის არსებული მეთოდების გაუმჯობესების დარგში", რომელიც ძირითადად განიარაღების პირველ ეტაპს შეეხება. არც იტალიის წარმომადგენელს უთქვამს რაიმე ახალი. იგი კვლავ მოითხოვდა „თანდათანობის პრინციპის" დაცვას განიარაღების განხორციელებისას, ესე იგი პრაქტიკულად გამოდიოდა განიარაღების დარგში რაიმე რადიკალური ღონისძიების განხორციელების წინააღმდეგ და პირველ პლანზე აყენებდა კონტროლის საკითხებს, მათ შორის დარჩენილი იარაღისა და შეიარაღებული ძალებისადმი კონტროლის საკითხებს.

განიარაღების მეორე ეტაპის ღონისძიებათა ანალიზსა და საბჭოთა კავშირის და ამერიკის დოკუმენტთა პროექტების შესაბამის დებულებათა შედარებას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა.

### 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში

სხდომის დასასრულს სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა. იგი შეეხო კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც აღიარა მთელ რიგ გამოსვლებში ამასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა დელეგაციამ წარსულ პლენარულ სხდომაზე განმარტა წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების მეორე ეტაპის შესახებ, რომლებსაც შეიცავს ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი. მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო მან აგრეთვე ამერიკის დოკუმენტის შესაბამის დებულებათა განხილვას.

საბჭოთა კავშირის წინადადებაა, განაცხადა ვ. ა. ზორინმა, მოხდეს ატომური იარაღის სრული ლიკვიდაცია, ამასთან შეწყდეს მისი წარმოება, რა თქმა უნდა, საერთაშორისო კონტროლით, და სახელმწიფოებმა მიიღონ საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მკაცრად სჯიან იმათ, ვინც მოინდომებს ატომური იარაღის აღდგენას.

ამავე დროს ამერიკის დოკუმენტის მეორე ეტაპი ითვალისწინებს ატომური იარაღის არა სრულ ლიკვიდაციას, არამედ მხოლოდ შემცირებას.

თუ საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს ატომური იარაღის წარმოების სრულ შეწყვეტას საერთაშორისო კონტროლით, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ამერიკის დოკუმენტი მიდის სულ სხვა მიმართულებით. იგი მეორე ეტაპისათვის ითვალისწინებს ატომური იარაღის წარმოების შენარჩუნებას და აღდგენის შესაძლებლობასაც კი.

საბჭოთა კავშირი, რომლის წინადადებით მეორე ეტაპზე უნდა მოხდეს ატომური იარაღის სრული ლიკვიდაცია, ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა, სანამ შეუდგებიან ამ ღონისძიებათა განხორციელებას, უნდა წარადგინონ სათანადო ცნობები ატომური იარაღის მარაგის შესახებ, რომელიც მათ მოუპოვებათ. შეერთებული შტატები კი ლაპარაკობენ მხოლოდ ინფორმაციაზე ხლეჩადი მასალების შესახებ.

ატომური იარაღის ლიკვიდაციასთან ერთად ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი უზრუნველყოფს მასობრივი მოსპობის ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა საზიანოთა იარაღის მოსპობას. და ამ საზიანოთა იარაღის მიმართ ამერიკის დოკუმენტი გვაოცებს თავისი გაურკვეველობით და ბუნდოვანებით. ისე როგორც ატომური იარაღის მიმართ, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის დარგში ღონისძიებათა განხორციელების თვით შესაძლებლობა ამერიკის დოკუმენტში განპირობებულია უკვე ნაცნობი შენიშვნებით ტექნიკური ექსპერტების მიერ ამ საკითხის შესწავლის შესახებ.

ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებანი უზრუნველყოფენ სახელმწიფოთა თანაბარი მდგომარეობის შენარჩუნებას განიარაღების მეორე ეტაპზედაც.

ატომური ომის საფრთხის აღმოსაფხვრელად, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, საჭიროა ან მოვსპოთ ატომური იარაღი, ან მოვსპოთ მისი მიტანის საშუალებები. სხვა არჩევანი არ არის.

ამით დამთავრდა დღევანდელი სხდომა.

## კარპენტერის კოსმოსური ფრენა

**ნიუ-იორკი, 24 მაისი (საკადესი). ამერიკის კოსმოსური ხომალდი „ავროორა-7", რომელშიც კოსმონავტი მაფრინავი კარპენტერი იმყოფება, მესამედ უვლის დედამიწას გარშემო.**

**მეორე შემოვლის დასასრულს, როცა აღმოჩნდა საწვავის გადახარჯვა სივრცეში ხომალდის ორიენტაციის სისტემაში, კარპენტერი იძულებული გახდა ხელით მართვაზე გადასულიყო.**

**აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო იუწყება, რომ მისი ვარაუდით, კოსმოსური ხომალდის ორბიტის ელემენტებია: აპოგეა — 262,4 კილომეტრი; პერიგეა —158,4 კილომეტრი; ორბიტის სიბრტყის დახრილობა ეკვატორის სიბრტყისადმი—32,5 გრადუსი.**

**ნიუ-იორკი, 24 მაისი. (საკადესი). დღეს, როცა დამთავრდა კოსმოსური ხომალდის „ავროორა-7" მესამე შემოვლა დედამიწის გარშემო, ხომალდის კოფსული, რომელშიც კოსმონავტი კარპენტერი იყო, პარაშუტით დაეშვა ატლანტის ოკეანეში დაახლოებით 200 კილომეტრზე გათვალისწინებული ადგილიდან. მაშველი ხომალდები და თვითმფრინავები გაემართნენ დაშვების ადგილისაკენ.**

ეალკოლმ კარპენტერი

# მოწოდება შეკავშირებისათვის

### საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

**პარიზი,** 24 მაისი. (საკადესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გამოუქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია:

ოას-ელ მკვლელთა უმაღლესმა მეთაურმა სალანმა გადაირჩინა თავი. იგი შეთქმულებათა გზით სამჯერ გამოეფარა ერის ნების წინააღმდეგ. მან საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართა მისი იარაღი და მისი ადამიანები. მან გათელა თავისი ქვეყნის ნება თავისი ამბიციებით და ფებლა მისი ღირსება თავისი დანაშაულებებით. მისი დანაშაულებრივი და ამაოხებითი საქმიანობა ჯეროვნად არ დაისაჯა.

ძოსამართლეებმა დაზოგეს მკვლელთა მეთაური, აცხადებს საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროო, რადგან სალანსა და იმ ხელისუფლებას შორის, რომელიც მას ასამართლებს დიდი კლასობრივი სოლიდარობაა, რომლის მიზანია გაგრძელდეს ომი ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ სურს ფრანგ ხალხს; მათ ერთად მოაწყეს 1958 წლის 13 მაისის პუტჩი „ფრანგთა ალჟირის" კოლონიალისტური და რასისტული ლოზუნგით.

ამ კლასობრივი მოსაზრებებით ნაკარნახევი განაჩენი, აღნიშნულია განცხადებაში, ხელს უწყობს ოას-ის ძირგამომთხრელ საქმიანობას, მის ცდებს — საფრთხე შეუქმნას ევიანის შეთანხმებებს. იგი აძლიერებს ფაშიზმის საფრთხეს, ამ ახალი მუქარის წინაშე მხოლოდ რესპუბლიკელთა შეკავშირებული გამოსვლები და ბრძოლა ჩაფუშავს ფაშისტების, კოლონიალისტისა და ომის აგენტების დანაშაულებრივ გეგმებს.

საფრანგეთის კომპარტიის ბიუროო მოუწოდებს ყველა რესპუბლიკელს იბრძოლონ ამისათვის, რომ დაუპატიმრონ და დასაჯონ მკვლელები, მოსდეს არმიის, პოლიციის, სახელმწიფო აპარატის წმენდა, სრულად და პატიოსნად გამოყენონ ევიანის შეთანხმებები რომ მოწვეულ იქნეს ეროვნული დამფუძნებელი კრება, რომელიც აღადგენს დემოკრატიას, რომელსაც უნარი შესწევს ბოლო მოუღოს ფაშიზმისა და ომის კოშმარს და, რომელიც დაამყარებს ხალხზე დაყრდნობილ რეჟიმს და მართავს ქვეყანას ხალხისათვის.

# დიდი მწერალი, საზოგადო მოღვაწე

### გიორგი წერეთლის დაბადების 120 წლისთავის გამო

**ბასული** საუკუნის იმ სახელმოხვეჭილ მოღვაწეთა შორის, რომლებიც „თერგდალეულთა" სახელით არიან ცნობილი, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელს.

გ. წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა უშუალოდ დაკავშირებულია რთული მოვლენებით მდიდარ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ ყოფასთან.

1860 წელს გ. წერეთელმა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში გაემგზავრა. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა და თავიდანვე ბეჯითად შეუდგა სწავლას. ახალგაზრდა მწერლის ერთადერთ მიზანს ის წარმოადგენდა, რომ უკეთ მომზადებულიყო თავისი საყვარელი სამშობლოს სამსახურისათვის. ამიტომ იყო, რომ იგი ბევრ დროს უთმობდა მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლასაც და იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომა აინტერესებდა.

ამ პერიოდში გ. წერეთელი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს ი. ჭავჭავაძის გამოდგულ გამოსვლას ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე, რამაც ე. წ. თაობათა ცნობილ ბრძოლას დაუდო საფუძველი. მისი სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსელაც სწორედ ამ ბრძოლასთან არის დაკავშირებული.

1863 წელს ი. ჭავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" გამოქვეყნდა მისი პირველი სტატია — „ცისკარს" რა ეკადანებდა?", რომელიც, ი. ჭავჭავაძის საპროგრამო წერილების შემდეგ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ დროს გამოქვეყნებულ მრავალ წერილთა შორის. ამ სტატიით გ. წერეთელი მკითხველს გაეცნო არა მარტო როგორც ილია ჭავჭავაძის ერთგული თანამებრძოლი, არამედ აგრეთვე როგორც რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომი მოაზროვნე და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამცველი ლიტერატურაში. „მწერალი, — ამბობს გ. წერეთელი, — არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძნობელი". ამიტომ მისი მოვალეობაა „აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევანებების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულევანებების მოსასპობლად".

მწერლის დანიშნულების ამგვარი გაგებიდან გამოდიოდა მართლაც იგი თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე.

დაძაბულ ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან ერთად, 1863 წლიდან 1871 წლამდე გ. წერეთელი (ამ ხნის მანძილზე მან დააარსა გაზეთები „დროება", „სასოფლო გაზეთი" და ჟურნალი „კრებული") ეწევა ნაყოფიერ ბელეტრისტულ შრომას. თავისი პირველი მხატვრული ნაწარმოების — „მგზავრის წიგნი, ანუ კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა" გამოქვეყნება მან დაიწყო 1867 წელს „დროებაში", ხოლო ერთი წლის შემდეგ, ამავე გაზეთის ფურცლებზე, სათაურით — „რამდენიმე სურათი მოთხრობიდან „ვერტია", დაიბეჭდა რომან „გულქანის" ხუთი თავი. მალე საკმაოდ გახმაურდა მისივე კომედია „ჯიბრ

# ახალი ამბები

## დიდი მწერლისადმი მიძღვნილი

**გამოჩენილი** ქართველი მწერლისა და მოაზროვნის გიორგი წერეთლის დაბადების 120 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელიც ამ დღეებში გაიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, საქართველოს სახალხო პოეტმა გიორგი ლეონიძემ.

სესიაზე მოისმინეს მოხსენებანი: დოცენტ გ. აბზიანიძისა — „გიორგი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“, დოცენტ მ. გაფრინდაშვილისა — „გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი“, პროფესორ ქ. სიხარულიძისა — „გიორგი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის რ. ბარამიძისა — „გიორგი წერეთელი და ძველი ქართული ლიტერატურა“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის შ. ვაშაყმაძისა — „ეროვნული „კვალი“ და გიორგი წერეთელი“.

## სიღნაღური ხალიჩები

სიღნაღი. (საკ. კორ.). ჩელიაბინსკი, სარატოვი, კალინინი, მაგნიტოგორსკი, აზერბაიჯანის ქალაქები — სად არ იგზავნება სიღნაღის ფაბრიკაში დამზადებული ქართული ხალიჩები. ლამაზია, კარგია! — იწონებენ ყველგან სიღნაღელ მეხალიჩეთა ნახელავს.

ფაბრიკის კოლექტივი გეგმის შესრულებას არ სჯერდება. დღე არ გავა ისე, რომ შრომაში წარჩინებულმა მუშებმა მ. ხმალაძემ, ზ. გოგიაშვილმა, ჟ. ბაბალაშვილმა, ვ. ძამიაშვილმა, ნ. ფარემუზოვმა და სხვებმა დაგეგმილი ნორმა 115-120 პროცენტით არ გაანაღდონ.

სიღნაღელები წელს გეგმის ზევით ბეგრ ლამაზ და ორიგინალურ ხალიჩას მოქსოვენ.

# სიღამაზის ზეიმი

კვირას, 27 მაისს, ჩვენს დედაქალაქში ყვავილების დღესასწაული-ია. ამ დღისათვის თბილისი ყვავილების თაიგულ ს დაემსგავსება. ქალაქის მთავარი მაგისტრალები, პარკები, ბაღები, სახლების ფასადები ყვავილებით დამშვენდება. ვინ მოსთვლის: რამდენ სილამაზეს, რამდენ სანახაობას ნახავთ ამ დღეს.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ღია ცისქვეშ გაიხსნება ყვავილების დიდი გამოფენა. ქალაქის ყოველი რაიონი კი თავის ტერიტორიაზე მოაწყობს დღესასწაულისათვის მიძღვნილ კუთხეს, სადაც მეყვავილე დეკორატორები, ყვავილების მოყვარულები თავიანთ მოვლილ მცენარეებს წარმოადგენენ.

ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები მაღაზიებში, აგრეთვე კიოსკებსა და გამოფენის ტერიტორიაზე მოწყობილ ჯიხურებში გაჰყიდიან ყვავილებს როგორც ლარნაკებისათვის, ისე დასარგავ მასალას. გვპირდებიან, რომ საუბარი ყვავილების დღესასწაულის მომწყობი საქალაქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოს

**ნ. კეცხოველთან.**

ქალაქში დღესასწაულისათვის ყვავილები ძალიან დიდი რაოდენობით იქნება.

სილამაზის ეს დღესასწაული ჩვენს დედაქალაქში უკვე მეოთხეჯერ ეწყობა. და უნდა ითქვას, რომ ამ დღესასწაულმა თავისი ნაყოფი გამოიღო, უჩვეულოდ გამდიდრდა თბილისის ყვავილების ასორტიმენტი. აქ უკვე შემოტანილია 300-მდე ჯიშის სხვადასხვა ვარდი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს კიროვის რაიონის გამწვანების ტრესტის სანერგის, თბილისის ბოტანიკური ბაღის და სხვა ბაღების ვარდნარები. მართალია, ჯერ ეს ასორტიმენტი ფართოდ არ არის ხალხში გავრცელებული, მაგრამ ამ კოლექციის არსებობა თბილისში უკვე იმის საწინდარია, რომ უახლოეს წლებში ყვავილები მოსახლეობაში ფართოდ გავრცელდება.

უნდა აღინიშნოს საორანჟერიო მცენარეების ასორტიმენტის გამდიდრება, განსაკუთრებით ბოლქოვანების, გლოქსინიებისა და სხვ.

მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სიყვარული ბუნებისადმი. ახლა ჩვენი პატარები თუ დიდები სათუთად უვლიან ყვავილებს, მწვანე ნარგავებს. ამით კიდევ უფრო მიმზიდველს და ლამაზს ხდიან თავიანთ კუთხეს, თავიანთ ცხოვრებას.

## მოკლედ ყველაფერზე

**საქართველოს კომუნისტური პარტიის ოჩამჩირის რაიონული კომიტეტისა და ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ინიციატივით კულტურის სახლში გაიმართა აფხაზი მწერლების შეხვედრა ოჩამჩირის რაიონის მშრომელებთან. მწერლებს მიესალმნენ მასწავლებლები თ. გეგეჭკორი, შ. ინაპშბა, მოსწავლე ნ. კვარაცხელია და სხვ.**

**საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ნ. თარბამ, კ. ჩაჩხალიამ, შ. აკობიამ, გ. გუბლიამ. ით. თარბამ და სხვ.**

**შ. ბუანია.**

☐ **თელავი.** (საკ. კორ.). იუალთოს საკოლმეურნეო კლუბში მოეწყო შეხვედრა აქაურ მკვიდრ დრამატურგ მიხეილ მრევლიშვილთან და პოეტ იოსებ ნონეშვილთან.

მათს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკეს საკოლმეურნეო გაზეთის რედაქტორმა ა. არსენიშვილმა და მასწავლებელმა ქ. კევლიშვილმა. სტუმრებს მიესალმნენ რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები.

☐ **ახმეტა.** (საკ. კორ.). ალაზნის მარცხენა მხარე ახმეტის სატყეო მეურნეობის მუშაკებმა რაიონის მშრომელთა დახმარებით ნარიყალი ქვიხაგან გაწმინდეს, ღრმად მოხნეს, ხასუქი შეიტანეს და კანადური ვერხვი ახარეს. მისი ფართობი 271 ჰექტარს აღემატება.

**წელს სატყეო მეურნეობის კოლექტივმა ახალი ტყეების გაშენების წლიური დავალება სამ თვეში შეასრულა. ბახტრიონის ჩრდილოდასავლეთით, ალაზნის ნარიყალაზე 40 ჰექტარი კაკლის, თუთის, ჭადრისა და ვერხვის ტყე გაშენეს.**

☐ **ამას წინათ ხარაჩოები შემოხსნეს დუშეთის სკოლა-ინტერნატის სამსართულიან შენობას, სადაც ერთდროულად 400-ზე მეტი მოსწავლე იმეცადინებს. ძირითადად დამთავრებულია საწოლი კორპუსის კეთილმოწყობა.**

**დუშელი ახალგაზრდები სიხარულით შეაღებენ ახალი სკოლის კარს მომავალ სასწავლო წელს.**

**ვ. ხუციურაული.**

## გ. რ. გაჩეჩილაძე—

### ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგემ, მწერალმა გივი რაჟდენის-ძე გაჩეჩილაძემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერ ებ ის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

**„რეალისტური თარგმანის პრობლემა“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გივი რაჟდენის-ძე გაჩეჩილაძისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

## ეროვნული ფასეულობანი

## „თეთრი მწვერვალები“

**საახალწლიო** გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა სამხრეთ ოსეთის მწერლების ლექსებისა და მოთხრობების კრებული „თეთრი მწვერვალები“.

„თეთრი მწვერვალები“ მოგვითხრობს მეოძმე ოსი ხალხის თანამედროვე ცხოვრების, მშრომელი ხალხის გაზრდობის ყოველდღიური საქმიანობის, მეგობრობისა და ოდალების შესახებ. ამ ნაწარმოებების მთავარი იდეა სამშობლოს [illegible] ბულში წარმოდგენილი სამხრეთ ოსეთის პოეტებისა და მწერლების ლექსებსა და მოთხრობებში ნათლად იგრძნობა, თუ რა წარმატებებს მიაღწია ძველად ჩამორჩენილმა ამ მხარემ, როგორ დამშვენდა და გალამაზდა იგი, როგორ დამკვიდრდა იქ განახლებული და ბედნიერი ცხოვრება ამ ორმოცი წლის მანძილზე.

კრებულში დაბეჭდილია რ. ასავეის, ი. კავკაზაგის, გ. ძუგაითის ლექსები და მოთხრობები, გ. ბესთაუთის, გაფეზის, მ. ნართიხთის, ი. ფლითის, უ. უოროითის და ხაჯი-მურატ ძუცათის ლექსები და ე. ბეკოითის, ნ. გაგლოითის, ვ. სანაუოთის, რ. ჩოჩიევის და დ. ჯიოთის მოთხრობები.

ლექსები თარგმნილია ჯანსუღ ნიკაბაძის მიერ, მოთხრობები თარგმნეს ი. ურჯუმელაშვილმა, ჯ. ბაკრაძემ და შ. ხაბაშვილმა.

წიგნის რედაქტორები არიან ნ. ლორთქიფანიძე და ჯ. ჭანტურია. მხატვრობა ეკუთვნის ჯ. უავლაშვილს. ტირაჟი 2.000.

**ი. ჩოხელი.**

## თეატრალური ცხოვრება

☐ **ფოთის** სახელმწიფო თეატრმა ახლახან მაყურებელს უჩვენა მარიკა ბარათაშვილის „ჩემი ყვავილთა“ და ფრიდონ ხალვაშის „გაზაფხულის ცრემლები“. პიესები დადგეს რ. ქართველიშვილმა და ვ. ფაჩულიამ, მხატვრულად გაფორმეს გ. მილორავამ და ა. ფილიპოვმა, მუსიკალურად გააფორმეს ი. ბობოხიძემ და ნ. გიგაურამ.

მთავარ როლებს ასრულებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი აკ. დობორჯგინიძე, მსახიობები გ. ებრალიძე, ს. ყურაშვილი, ე. გვაზავა, რ. ქინქლაძე, თ. მანველიშვილი, ც. ადეიშვილი, ნ. კოხტაშვილი და სხვ.

ამ სპექტაკლებს თეატრი უჩვენებს მეზობელი რაიონების მაყურებლებსაც.

☐ **ამ** დღეებში ბოლნისის სულხანსაბა ორბელიანის სახელობის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა ა. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომელიც დადგა დიპლომანტმა ნ. იაშვილმა.

**შ. კერესელიძე.**

## „ეროვნული ფასეულობანი“

**საახალწლიო** ეკრანებზე ეროვნული ფასეულობანი ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული